პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

Газета выходит с 1926 года.
გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

№ 12 (2055) 28 მარტი შაბათი, 1985 წელი. ფასი 2 კაპ.

## РЕСПУБЛИКАНСКИЕ ГАЗЕТЫ СООБЩАЮТ:

● 22 марта в Кремле состоялась встреча Генерального секретаря ЦК КПСС М. С. Горбачева с Консультативным советом Социалистического интернационала по разоружению.

В состоявшейся беседе принял участие кандидат в члены Политбюро ЦК КПСС, секретарь ЦК КПСС Б. Н. Пономарев.

Калеви Сорса — вице-председатель Социнтерна, председатель Консультативного совета по разоружению поздравил М. С. Горбачева с избранием Генеральным секретарем ЦК КПСС. К. Сорса информировал о деятельности совета в интересах решения проблем ограничения и прекращения гонки вооружений. Он сообщил, что после состоявшихся встреч в Москве Консультативный совет посетит Вашингтон для бесед с представителями американской администрации. Была выражена надежда, что Советский Союз совместно с Соединенными Штатами предпримут все возможные усилия, для того чтобы не только ограничить гонку вооружений, но и прекратить ее.

М. С. Горбачев подчеркнул, что внешне политическая линия КПСС, Советского государства остается незыблемой, и это было подтверждено на мартовском (1985 года) Пленуме ЦК КПСС. Советский Союз будет неуклонно идти курсом мира и прогресса.

Беседа прошла в дружественном и конструктивном духе.

● Президиум Верховного Совета СССР направил приветствие участникам сессии Президиума Всемирного Совета Мира.

## Совещание партийно-хозяйственного актива ГРУЗИИ

16 марта состоялось совещание партийно-хозяйственного актива Грузии, обсудившее задачи партийных, советских, хозяйственных органов республики по преодолению последствий суровой зимы и выполнению заданий и социалистических обязательств первого квартала завершающего года одиннадцатой пятилетки в свете требований внеочередного мартовского (1985 г.) Пленума ЦК КПСС.

С докладом выступил кандидат в члены Политбюро ЦК КПСС, первый секретарь ЦК Компартии Грузии Э. А. Шеварднадзе.

Совещание партийно-хозяйственного актива республики приняло резолюцию.

Участники совещания направили письмо ЦК КПСС, Генеральному секретарю ЦК КПСС товарищу М. С. Горбачеву. (Грузинформ).

## НА ЗАСЕДАНИИ КОЛЛЕГИИ МВД ГССР

На днях состоялось заседание коллегии МВД Грузинской ССР, которое рассмотрело вопрос о проведении в 1985 году республиканского соревнования-конкурса среди школьных отрядов юных инспекторов движения.

С целью дальнейшего улучшения работы школ по профилактике детского дорожно-транспортного травматизма, пропаганде среди школьников правил дорожного движения, повсеместной активизации работы отрядов юных инспекторов движения и популяризации их среди населения совместные заседания коллегий МВД ГССР, министерства просвещения ГССР и бюро ЦК ЛКСМ Грузии постановили с января по июнь 1985 года провести районные, городские, зональные и республиканские конкурсы — соревнования среди юных инспекторов движения.

Республиканское соревнование будет проведено в г. Тбилиси в июне 1985 года.

На заседании коллегии были рассмотрены и другие вопросы, по которым приняты соответствующие постановления.

## თეორიული კონფერენცია

1985 წლის 22 თებერვალს შს ხაშურის რაიგანყოფილების პარტიული ორგანიზაციისა და ლენინის ოთახის საბჭოს ინიციატივით ჩატარდა თეორიული კონფერენცია მიძღვნილი 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის დღისადმი.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა განყოფილების ლენინის ოთახის საბჭოს თავმჯდომარემ, მილიციის კაპიტანმა გ. ასლანიდმა.

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ მ. კოშკაძე — განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგე; გ. იმერლიშვილი, დაბა სურამის II საშუალო სკოლის დირექტორი და გ. ხაჩიძე დაბა სურამის III საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

რაიგანყოფილების პირადმა შემადგენლობამ დიდი კმაყოფილება გამოთქვა მომხსენებლების მიერ წაკითხული ღრმაშინაარსიანი და საინტერესო ლექციებისათვის.

**გ. გოგალაძე,**
**შს ხაშურის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში მილიციის მაიორი.**

## УКРЕПЛЯТЬ РЕЖИМ ЭКОНОМИИ И БЕРЕЖЛИВОСТИ

Недавно состоялось собрание партийно-хозяйственного актива войсковых частей, учебных заведений, лечебно-оздоровительных учреждений и органов внутренних дел Закавказских республик. С докладом «О состоянии хозяйственного обеспечения войсковых частей, учебных заведений, лечебно-оздоровительных учреждений и органов внутренних дел Закавказских республик и задачах по его улучшению в свете решений XXVI съезда и последующих Пленумов ЦК КПСС» выступил начальник Закавказского Окружного управления материально-технического снабжения МВД СССР полковник в/с Г. Махарадзе.

В прениях по докладу выступили полковник В. Коваленко, начальники ХОЗУ МВД Грузинской ССР полковник в/с В. Чхиквишвили, МВД Армянской ССР полковник милиции В. Петросян, МВД Азербайджанской ССР подполковник милиции А. Аллахвердиев, начальник ОТУ МВД Грузинской ССР полковник милиции Д. Ростиашвили, полковник в/с З. Табидзе, заместитель начальника УИТУ МВД Азербайджанской ССР полковник в/с Н. Талыбов и другие.

Участники собрания актива обменялись опытом работы, высказали ряд критических замечаний и практических рекомендаций, направленных на укрепление дисциплины, усиление режима экономии и бережливости, создание обстановки высокой требовательности, деловитости, нетерпимости к недостаткам, совершенствование материально-технического снабжения, повышение ответственности каждого.

Собрание партийно-хозяйственного актива приняло обращение к личному составу воинских частей, учебных заведений, сотрудникам органов внутренних дел, лечебно-оздоровительных учреждений и работников органов материально-технического снабжения.

В работе партийно-хозяйственного актива приняли участие Министр внутренних дел Грузинской ССР генерал-лейтенант в/с Г. Гветадзе, инструкторы отделов административных органов ЦК КП Грузии Н. Беришвили и ЦК КП Армении Г. Сираконян, заместитель начальника Главного управления материально-технического снабжения МВД СССР полковник в/с В. Якубовский, заместители министров внутренних дел Грузинской ССР генерал-майор в/с Ш. Горгодзе, Азербайджанской ССР полковник в/с Ю. Керимов, Армянской ССР полковник в/с К. Григорян.

**А. ПОЛЯН,**
**капитан в/с, наш внешт. корр.**

## დაჯილდოება

**მძიმე** დანაშაულის გახსნისათვის გატარებული საზრიანი ოპერატიული ღონისძიებებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის **დაჯილდოვდნენ:**

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატიო სიგელით — **თამაზ ალექსანდრეს ძე ციციშვილი** — შინაგან საქმეთა ტყიბულის საქალაქო განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.

„**მილიციის ფრიადოსნის**" სამკერდე ნიშნით — **ნუგზარ შოთას ძე ნიშნიანიძე** — სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი.

## ГАЛЛЕРЕЯ ПЕРЕДОВИКОВ

В 1977 году после окончания экономического факультета Тбилисского государственного университета по путевке комсомола пришел в органы внутренних дел Гурам Шалвович Абашидзе. За сравнительно короткое время кандидат в члены КПСС Гурам Абашидзе освоил азы милицейской службы. Он непримирим к нарушителям социалистического общежития — тунеядцам, хулиганам, расхитителям соцсобственности. Г. Абашидзе систематически работает над повышением своего профессионального мастерства. На его участке за прошлый год не зарегистрировано ни одного преступления.



Постоянное общение с населением, оказание им помощи и поддержки — характерная черта работы старшего участкового инспектора Хелвачаурского РОВД старшего лейтенанта милиции Гурама Шалвовича Абашидзе.

Быть начеку, отвечать за каждого, нести ответственность за их судьбы — залог успешной работы участкового инспектора.

**И. МИРОИДЗЕ.**

НА СНИМКЕ: старший лейтенант милиции Г. АБАШИДЗЕ.

## სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა — თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე

**მ. ჩუღაოვი,**
**აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალ-მაიორი.**

1985 წელი განსაკუთრებულია საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში. ეს დიდ სამამულო ომში ჩვენი ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის იუბილე, მეთერთმეტე ხუთწლედის დამთავრებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისათვის მზადების წელი. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დასაქმებული თითოეული მშრომელი ახლა იბრძვის იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულოს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, შემხვედრი გეგმები.

ასევე, გადიდებული მოთხოვნებია წაყენებული ადმინისტრაციული ორგანოების, მათ შორის — შინაგან საქმეთა ორგანოების წინაშე — საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შემდგომი გაძლიერებისათვის, სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში.

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება უშუალოდაა დაკავშირებული დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებასთან. განვითარებული სოციალიზმის სრულყოფასთან. ჩვენი საზოგადოებრიობის წევრთა კულტურის ამაღლებასა და შეგნების ზრდასთან ერთად, მტკიცდება საზოგადოებრივი წესრიგიც, მცირდება დანაშაულობა. მაგრამ ცხადია, ეს არ არის მექანიკური პროცესი. ესაა ჩვენი პარტიის, მთავრობის მიზანმიმართული დიდი პოლიტიკური ორგანიზატორული, აღმზრდელობითი მუშაობის შედეგი, მუშაობისა, რომელიც მიმართულია სოციალისტური კანონიერებისა და დისციპლინის განმტკიცებისაკენ. ამაში, სხვა სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ ორგანოებთან ერთად, მცირე წვლილი როდი მიუძღვის შინაგან საქმეთა ორგანოებს.

იმისათვის, რომ სწორად გადავწყვიტოთ მომავალი ამოცანები, აუცილებელია გავაანალიზოთ განვლილი გზა, განვსაზღვროთ სამართალდარღვევებთან ბრძოლის მდგომარეობა, ზუსტად ვიცოდეთ მათი გამომწვევი მიზეზები და პირობები.

სწორედ ამის თაობაზე იყო პრინციპული მსჯელობა 1985 წლის 8 თებერვალს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე, რომელზეც განიხილეს საკითხი — აფხაზეთის პარტიული, საბჭოთა ადმინისტრაციული ორგანოების, საზოგადოებრიობის მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სოციალისტური კანონიერებისა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით, აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა, პოლიტგანყოფილება და პარტიული ორგანიზაცია უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ კადრებთან მუშაობას, დამნაშავეობასთან

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

# ისმენენ კომუნისტის ანგარიშს — ამტკიცებენ დახასიათებას

**ზუგდიდელივით** ახლოს შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის დაწყება. თავიდანვე ყურადღებით უსმენდა დამრიგებლებს, ეცნობოდა მილიციის მუშაობის სპეციფიკას. მას შემდეგ 8 წელი გავიდა.

ახლა რაიგანყოფილების პირკრება იხილავს ლანჩხუთის შს რაიგანყოფილების ავტოინსპექციის საგზაო ზედამხედველის, მილიციის რიგითის, კომუნისტ ელდარ გივის ძე ჩხაიძის ანგარიშს და ამტკიცებს მის პარტიულ დახასიათებას.

**— დავიბადე 1950 წელს სოფელ მამათში. 1967 წელს მამათის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე კოლმეურნეობაში რიგით კოლმეურნედ. 1968 წელს სწავლა განვაგრძე ქ. ქუთაისის ავტოტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც დავამთავრე 1974 წელს. 1969-71 წლებში ვიმყოფებოდი საბჭოთა არმიის რიგებში. 1974-77 წლებში ვმუშაობდი მამათის ჩაის ფაბრიკის ელექტრო-შემდუღებლად. აქვე გავხდი სკკპ წევრობის კანდიდატი. ამავე კოლექტივის შუამდგომლობით მუშაობა დავიწყე ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორად, სადაც დღემდე ვმუშაობ.**

**მუშაობის მანძილზე ადმინისტრაციული წესით დასჯილი არ ვყოფილვარ, პარტიული სასჯელი არ მქონია. 1984 წელს გამოვლინებული მყავს 1366 საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევი. მარტო გადაჭარბებული სიჩქარისათვის — 521 მძღოლი. გზებზე მოძრაობისას დამრღვევი ქვეითად მოსიარულე — 78.**

**მყავს მეუღლე და ორი შვილი, მეუღლე და დედა კოლმეურნეობის წევრებია. მამა ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლია.**

**არჩეული ვარ განყოფილების პარტიული ორგანიზაციის ბიუროს შემადგენლობაში, ვარ რიგოსანთა და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის ამხანაგური სასამართლოს წევრი.**

კრების მონაწილეებმა კითხვებით მიმართეს ე. ჩხაიძეს, რომელმაც გულახდილად ილაპარაკა თავის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

სტრიქონები ე. ჩხაიძის დახასიათებიდან, რომელიც მოამზადეს ოპონენტებმა — პარტიული ორგანიზაციის ბიუროს წევრმა თ. კუნჭულიამ, უფროსმა ავტოინსპექტორმა ზ. მორჩილაძემ და საგზაო-ზედამხედველობის ინსპექტორმა რ. ვადაჭკორიამ:

**განყოფილებაში მუშაობის მანძილზე ე. ჩხაიძემ თავი გამოიჩინა როგორც შრომისმოყვარე, დისციპლინირებულმა, ენერგიულმა თანამშრომელმა. არის საბრძოლო მზადების ფრიადოსანი, კოლექტივსა და საზოგადოებაში სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით. კოლმეურნეობის გამგეობისა და სასოფლო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელების, მეზობლების აზრით მის ოჯახში სუფევს ჯანსაღი ატმოსფერო,**

**საქმიანობაში შეინიშნება ნაკლოვანებებიც, იგი მეტს უნდა მუშაობდეს საკუთარ თავზე, როგორც კომუნისტი, არ იჩენს საკუთარ ინიციატივას ავტოინსპექციის მუშაობაში არსებული რიგი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. მუშაობაში არ იყენებს მოსახლეობასთან, შრომით კოლექტივებთან, მოსწავლეებთან ლექცია-საუბრებს, ზოგჯერ ახასიათებს ზედმეტი სიფიცხე და ემოციურობა; აქვს უნარი იმისა, რომ სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელში.**

პარტიულმა კრებამ სკკპ წევრის ე. ჩხაიძის ანგარიშის გამო დაადგინა:

**დამტკიცდეს მისი პარტიული დახასიათება, რადგან კომუნისტ ელდარ ჩხაიძის სამსახურეობრივი საქმიანობა და ცხოვრების წესი, მისი პირადი თვისებები მთლიანობაში პასუხობს სკკპ წესდების მოთხოვნებს. შემდგომში ე. ჩხაიძე უფრო კრიტიკულად უნდა მოეკიდოს თავისი საქმიანობის შეფასებას, მეტი უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე,**

**კრების დამთავრების შემდეგაც მსჯელობდნენ, შეხედულებებს უზიარებდნენ ერთმანეთს მისი მონაწილენი.**

**აზრი ერთი იყო: კომუნისტის ანგარიშის განხილვა ჩატარდა სრული გულახდილობის, პირდაპირობის, წინადადებებისა და სურვილების თავისუფლად გამოთქმის ატმოსფეროში.**

**ო. ხუციშვილი,**
**ლანჩხუთის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის უფროსი ლეიტენანტი.**

# სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა — თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე

**(დასასრული)**

ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში მილიციის ყველა სამსახურისა და ქვედანაყოფისადმი ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდის სრულყოფას, პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებას.

გამძაფრდა ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დატაცების, მათ შორის — მსხვილი და განსაკუთრებით მსხვილი დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის და სხვა წინააღმდეგ. გამფლანგველებს, სპეკულანტებს, მექრთამეებსა და სხვა ჯურის საქმოსნებს ჩამოერთვათ ფასეულობანი და ალეწერათ ქონება. მთლიანად ანაზღაურებულია სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად, უკანასკნელ პერიოდში მიღწეულია დამნაშავეობის შემცირების მყარი ტენდენცია. შეიმჩნევა პოზიტიური წინსვლა დანაშაულობათა გახსნაში. რამდენადმე გააქტიურდა ბრძოლა ალკოჰოლიზმთან და ნარკომანიასთან, გაძლიერდა ბრძოლა ხულიგნობის წინააღმდეგ, განმტკიცდა საზოგადოებრივი წესრიგი ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში.

ამასთან ერთად, როგორც ამას ხაზი გაუსვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ 1985 წლის 7 თებერვალს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის № 336 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრისას... „უკანასკნელ დროს განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების მიუხედავად, სოციალისტური მართლწესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში ჯერ კიდევ რჩება არაერთი გადაუჭრელი პრობლემა, რაც სამართლიან შეშფოთებას იწვევს“.

ამას ხაზი გაესვა, აგრეთვე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე. თანამედროვე მოთხოვნებს არ პასუხობს ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

იმის გამო, რომ სუსტია პროფილაქტიკური მუშაობის ეფექტურობა სოხუმის, ოჩამჩირის, გუდაუთისა და გალის რაიონებში, შეინიშნება განზრახ მკვლელობისა და მკვლელობის მიზნით თავდასხმის ზრდა, აგრეთვე სხეულის მძიმე დაზიანებანი. და, როგორც ანალიზმა ცხადყო, ეს დანაშაულებანი ხდება საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ე. ი. მოუგვარებელი მეზობლური და ოჯახური ურთიერთობისას, რომელთა უმრავლესობის აღკვეთა შეიძლებოდა მათი მომწიფების სტადიაში, სათანადო პროფილაქტიკური მუშაობა რომ წარემართათ აღნიშნული რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებებსა და რაისაბჭოების აღმასკომებთან არსებულ კონფლიქტში მყოფი ოჯახებისა და მოქალაქეების შემრიგებელ კომისიებს.

სამართალდარღვევათა საერთო რაოდენობის ზოგიერთი ზრდა შეიმჩნევა გალისა და გულრიფშის რაიონებში. შესუსტებულია სახელმწიფო ქონების დაცვა გუდაუთის, სოხუმის რაიონებში და ქ. გაგრაში.

არასრულწლოვანთა დანაშაულის რამდენადმე შემცირების მიუხედავად, ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს მასთან ბრძოლა ქ. გაგრაში, გუდაუთისა და გალის რაიონებში, სადაც არ შეიმჩნევა საჭირო აქტიურობა მოზარდთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში.

სამართალდამცველმა ორგანოებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საზოგადოებრიობამ რამდენადმე გააქტიურეს მუშაობა საზოგადოებრივ შრომაში დაუსაქმებელ პირთა გამოვლენის, სამუშაოზე მათი მოწყობის მიზნით, პასუხისგებაში გადაეცემიან ისინი, ვინც ჯიუტად ცდილობს თავი აარიდოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

მიუხედავად ამისა, ამ ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების აღმოფხვრის პრობლემა, რაც ბევრად განსაზღვრავს დანაშაულობის საერთო მდგომარეობას, ყოველთვის როდი წყდება ეფექტურად და მიზანმიმართულად. ჯერ კიდევ სუსტად ვიყენებთ კანონის ძალას.

დროზე ვერ სრულდება პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები მუქთახორობისა და მაწანწალობის აღმოფხვრის საქმეში, პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება არ ხდება კომპლექსურად. ასე რომ, ამ მიმართულებით მიმდინარე წელს დიდი სამუშაოა შესასრულებელი შინაგან საქმეთა ორგანოების ყველა სამსახურისა და ქვედანაყოფის მიერ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებათა რეალიზაცია დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხებზე, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განუხრელი შესრულება, მართვის სისტემის ყოველმხრივ გაუმჯობესება, მთელი საქმიანობის სპეციალიზაციის, ინტენსიფიკაციის გაძლიერება, დისციპლინის განმტკიცება, კადრების პოლიტიკური აღზრდისა და პროფესიული მომზადების დონის ამაღლება, პროფილაქტიკური მუშაობის ძირეული გაუმჯობესება, სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცება, — აი, ძირითადი ამოცანები, რომლებიც დგას შინაგან საქმეთა ორგანოების წინაშე.

ცხადია, დიდი და პასუხსაგებია ეს ამოცანები, ისინი მოითხოვენ დაძაბულ შრომას, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დღენიადაგ სრულყოფას.

ამ ამოცანების შესრულებას ჩვენ შევძლებთ შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირის დამყარებით.

## Делюсь опытом

**Капитан милиции Джемал Габелия, заместитель начальника Гальского РОВД по политчасти, руководитель группы политзанятий рядового и младшего начальствующего состава. За большую работу по пропаганде материалов XXVI съезда КПСС, последующих пленумов, высокие результаты в идейно-политическом и нравственном воспитании личного состава органов внутренних дел, значительный вклад в организацию политучебы и повышение ее эффективности приказом министра внутренних дел СССР он награжден нагрудным знаком «Отличный пропагандист МВД СССР».**

**Сегодня Д. Габелия делится своим опытом о том, как надо готовиться к политзанятиям.**

# КАК Я ГОТОВЛЮСЬ К ЗАНЯТИЯМ

Успех каждого политзанятия зависит от того, как мы, пропагандисты, подготовились к нему.

Именно от нас во многом зависит воздействие на аудиторию, достижение поставленной цели. Наш рассказ вытекает из уверенности в том, что мы вправе требовать внимания других, вправе воздействовать на ум и сердца слушателей.

Как я, руководитель группы политзанятий рядового и младшего начальствующего состава, готовлюсь к раскрытию темы?

Во-первых, стремлюсь к тому, чтобы мой рассказ выглядел более жизненно, чтобы слушатели чувствовали его. Поэтому строю его в непосредственном взаимном общении с аудиторией, а не только по написанному конспекту.

Подготовку начинаю с детального рассмотрения рекомендованной темы. Читаю много дополнительной литературы, подбираю интересные факты, сравнения из повседневной жизни личного состава райотдела.

Любое занятие может стать живым, интересным, если при его проведении думать о психологии слушателя, запросах, мыслях, волнующих его. Как писал В. И. Ленин «искусство всякого пропагандиста состоит в том, чтобы наилучшим образом повлиять на данную аудиторию, делая для нее известную истину возможно более убедительной, возможно легче усваиваемой, возможно нагляднее и тверже запечатлеваемой». Очень важно затронуть в своем рассказе текущие проблемы. Многие темы, рекомендованные политическим управлением МВД СССР, можно удачно поставить в связи с злободневными проблемами. Ведь ничего греха таить, часто интерес слушателя полностью не осознан и задача моего рассказа его вызвать, разъяснить, убедить.

В период подготовки к занятиям обращаюсь к вспомогательному материалу, подготавливаю наглядные пособия, тематические папки, диаграммы, и т. д. Еще раз проверяю себя: достаточно ли я сам осведомлен и могу ли доходчиво и доступным языком раскрыть тему, уложусь ли в положенное время, смогу ли убедить слушателей, будет ли соответствовать мой рассказ уровню знаний и интересов слушателей? И, наконец, проявляю заботу о том, чтобы на занятиях присутствовали все слушатели, подготавливаю помещение, чтобы люди могли в нем удобно разместиться, чтобы там было чисто, светло. Это создает рабочую обстановку.

Свой рассказ обычно, как и рекомендуется пропагандистам, делю на три части: вступление, основная часть заключение.

Важно с самого начала завладеть вниманием слушателей. Рассказываю о чем-то простом, интересном и близком для них. После того, как внимание привлечено, излагаю тему вступления, делаю как бы обзор главных разделов.

В основной, второй части рассказа думаю над тем, как будут восприняты основные идеи изложенного материала. И здесь считаю, что нужно как можно полнее затронуть интересы, чувства, настроения слушателей. Рассказ ведется целенаправленно, с учетом конкретной оперативно-служебной обстановки, состояния дел и дисциплины в подразделении. Это мне, удается сделать, так как хорошо знаю аудиторию, положение дел в райотделе.

А это помогает лучше увязывать преподносимый материал с жизнью отдела, со служебными задачами.

Часто используя такой пример, как обращение к аудитории, называю, отдельных слушателей. Это необходимо для того, чтобы каждый чувствовал, что мой рассказ обращен именно к нему, это усиливает связь со слушателями. В этой же части использую наглядные пособия, схемы, тематические папки, фотографии. Это придает рассказу наглядность, выразительность, объективность и доступность.

В заключительной части повторяю основные моменты рассказа. Это помогает слушателям окончательно осознать моменты рассказа, осмыслить услышанное и уложить его в памяти.

Мне думается, что такой подход к проведению занятия наиболее полно отвечает современным требованиям и только при таком условии можно ожидать от него ощутимых результатов. Воздействие политических занятий на сотрудников огромно. Это одна из самых проверенных жизнью форм коммунистического воспитания, идейной закалки. Оно активно способствует улучшению политико - морального состояния коллектива и укреплению дисциплины. Поэтому к каждому занятию необходимо подходить творчески.

В новом учебном году буду добиваться того, чтобы после моих занятий слушатели уходили довольными, с хорошим настроением, чтобы они чувствовали, что поднялись сегодня на одну ступень выше, что занятие прибавило им знаний, что они еще лучше стали понимать жизнь, глубже осознали свою ответственность за бдительную и надежную охрану общественного порядка в районе.

*

# საპასუხისმგებლო პოსტზე

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე მტკიცედ დგას დედაქალაქის მილიციის ერთ-ერთი დიდი ქვედანაყოფი.

დაარსების დღიდან ქვედანაყოფი იზრდებოდა და იზრდება არა მარტო საშტატო ერთეულთა რაოდენობით, არამედ იდეურ-პოლიტიკურადაც. დღითი დღე მტკიცდება დისციპლინა, მაღლდება თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა.

დანაყოფი დღეს ის აღარ არის რაც ოცი-ოცდაათი წლის წინათ იყო. დანაყოფში ოფიცერთა შემადგენლობის 70 პროცენტი უმაღლესი განათლებითაა. მეთაურთა უმრავლესობას დამთავრებული აქვს მილიციის სპეციალური სკოლა. რიგით შემადგენლობაში როგორც წესი ყველა საშუალო განათლების მქონეა.

დანაყოფის საქმიანობა რამდენადაც სპეციფიკურია — იმდენად უფრო გვავალებს იგი მთელი გულისყურით მოვეკიდოთ კადრების შერჩევასა და განაწილებას. ქვედანაყოფის ახალგაზრდა მუშაკი არასოდეს არ რჩება ყურადღების გარეშე. მას ვუნიშნავთ შეფად გამოცდილ თანამშრომელს, რომელიც ასწავლის და აჩვევს ახალბედას საპატრულო-საგუშაგო სამსახურის თავისებურებებს და იმ სირთულეების დაძლევას, რაც მას ყოველდღიურ საქმიანობაში შეხვდება.

პირადი შემადგენლობის სამსახურებრივ დაოსტატებასა და ფიზიკურ წრთობაში დიდ დახმარებას გვიწევს კეთილმოწყობილი ღია სპორტული მოედნები, სარბენი ბილიკები, დახურული სასროლეთი და სხვა. ქვედანაყოფის ახალგაზრდობა გარდა იმისა, რომ ყოველწლიურად აბარებს სავალდებულო ნორმატივებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მრავალი მათგანი სპორტის თანრიგოსანია და მონაწილეობას იღებს რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეჯიბრებებში.

ქვედანაყოფის პირად შემადგენლობას კარგად აქვს შეგნებული თუ რა საპასუხისმგებლო საქმეს ემსახურება და ამიტომაა, რომ თითოეული ოფიცერი, თითოეული რიგითი მობილიზირებულია, რათა მინდობილი საქმე შეასრულოს უმწიკვლოდ.

პირადი შემადგენლობისადმი სწორმა აღმზრდელობითმა მიდგომამ, პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციების ქმედითუნარიანობამ კარგი შედეგი გამოიღო. საგრძნობლად შემცირდა ამ ბოლო დროს მილიციელთა მხრიდან საპატრულო-საგუშაგო სამსახურის დაბალხარისხიანად შესრულება. თითოეული მილიციელი მტკიცედ იცავს საწესდებო მოთხოვნებს.

ქვედანაყოფში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. გასული წლის შედეგებით გაიმარჯვა დანაყოფმა, რომელსაც მილიციის კაპიტანი შ. კუტიბაშვილი მეთაურობს. არიან მილიციის მოწინავენი, რომლებიც უყოყმანოდ და ხარისხიანად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. ასეთებია: მილიციის უფროსი ლეიტენანტები გ. მურაჩაშვილი, კ. ოქრიაშვილი, მილიციის ლეიტენანტი ს. აიდაპოვი, ზემდეგი პ. სანაძე, სერჟანტები ბ. მაჩაიძე, ბ. ბუხრაშვილი, ბ. კოლოტაშვილი, ც. სეფაშვილი, ზემდეგი ა. გასანოვი და სხვები.

ქვედანაყოფის მუშაკები არა მარტო თავიანთ პირდაპირ მოვალეობას ასრულებენ მაღალხარისხოვნად, არამედ ისინი ასევე აქტიურად მონაწილეობენ დედაქალაქში გამართულ სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. არაერთი ხულიგანი, ავტომანქანის გამტაცებელი, პირადი ქონების ქურდი, უსაქმური და მუქთახორა იქნა მათ მიერ დაკავებული და წარდგენილი მილიციის რაიონულ განყოფილებაში.

სწორედ ქვედანაყოფის მუშაკთა ოპერატიულობასა და მათ საზრიანობაზე მეტყველებს ის მადლობები და ქების სიგელები რომელსაც პირადი შემადგენლობა იმსახურებს ყოველწლიურად ზემდგომი ორგანოებიდან.

ქვედანაყოფის პირადმა შემადგენლობამ, წარმატებით დაამთავრა გასული 1984 წელი, მაგრამ უფრო მეტი შემართებით დაიწყო ისტორიული მოვლენებით აღსავსე 1985 წელი.

**მ. დგებუაძე,**
**ქვედანაყოფის მეთაური, მილიციის პოლკოვნიკი.**

## მეტი შემართებით

**ქვედანაყოფის მრავალრიცხოვან საშტატო ერთეულთან შედარებით კომუნისტთა რაოდენობა არც თუ ისე დიდია, მაგრამ მათი მაორგანიზებელი ძალა თვალნათლივ ჩანს ქვედანაყოფში.**

**ახალგაზრდებს გვეხმარება, რომ ჩვენს გვერდით შრომობენ შრომისა და პარტიის ვეტერანები: უ. ხეტეშვილი, გ. ლონლაძე, კ. აბულაძე და სხვები, მათგან ბევრს ვსწავლობთ, პირველ ყოვლისა ნებისმიერი საქმისადმი კომუნისტურ მიდგომას. მეტად კარგი შედეგი გამოიღო კომუნისტთა თვითანგარიშების მოსმენამ და თანამოსაქმეების მიერ მათი დახასიათებების დამტკიცებამ.**

**ასევე რადიკალურად შეიცვალა ქვედანაყოფში კომკავშირულ-ახალგაზრდული საქმიანობა. ამას ხელი შეუწყო გასულ წელს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს პოლიტიკური განყოფილების მიერ საფუძვლიანმა შემოწმებამ. შემოწმების შედეგად წარმოჩენილმა ხარვეზებმა თვალნათლივ დაგვანახეს, რომ პარტიული ბიურო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა კომკავშირულ საქმიანობას.**

**როგორც პარტიულ ბიუროს, ისე კომკავშირულ ორგანიზაციას, მის აქტივს, ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, რათა თითოეული კომუნისტის, თითოეული კომკავშირელის ყოველდღიური საქმიანობა სრულად პასუხობდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მოთხოვნებს.**

**ზ. ჯორბენაძე,**
**ქვედანაყოფის პარტბიუროს მდივანი.**



დღევანდელი მილიციის მუშაკი — ეს არის განათლებული, ფიზიკურად ჯანსაღი და მორალურად მტკიცე თანამშრომელი.

იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად დანაყოფის პირად შემადგენლობას ემსახურება კეთილმოწყობილი ლენინის ოთახი, ბიბლიოთეკა.

აი, ახლაც მილიციის უფროსი ლეიტენანტი გ. მურაჩაშვილი და მილიციის სერჟანტი, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ბ. მაჩაიძე მორიგი მეცადინეობისათვის ემზადებიან.

**ტ. ტარიელაშვილის** ფოტო.

# МЕТОДИЧЕСКИЕ РЕКОМЕНДАЦИИ

## КУЛЬТУРНО БОРОТЬСЯ ЗА СОЦИАЛИСТИЧЕСКУЮ ЗАКОННОСТЬ — ЛЕНИНСКИЙ ПРИНЦИП ДЕЯТЕЛЬНОСТИ ОРГАНОВ ВНУТРЕННИХ ДЕЛ. ЭТИКА ВЗАИМООТНОШЕНИЙ РАБОТНИКОВ ОРГАНОВ ВНУТРЕННИХ ДЕЛ С НАСЕЛЕНИЕМ

Методические рекомендации в помощь руководителям групп политической учебы по теме № 14 учебных курсов **«Социальная политика КПСС»** и **«Ленинское учение о коммунистической нравственности».**

### ПРИМЕРНЫЙ ПЛАН ЗАНЯТИЙ:

1. Единство законности и культурности в правоохранительной деятельности. Правовая культура работников органов внутренних дел.
2. Воплощение требований социалистической законности и культурности во взаимоотношениях работников органов внутренних дел с населением.

Вопросы для собеседования и тема реферата для групп марксистско - ленинской подготовки среднего и старшего начальствующего состава.

### ВОПРОСЫ ДЛЯ СОБЕСЕДОВАНИЯ:

1. В чем состоит высокая организованность и культура в деятельности органов внутренних дел?
2. Основные требования КПСС к сотрудникам советской милиции в современных условиях.
3. Культура поведения работников органов внутренних дел.

### ТЕМА РЕФЕРАТА

Значение общей и профессиональной культуры в повышении эффективности и качества служебной деятельности в органах внутренних дел.

### МЕТОДИЧЕСКИЕ РЕКОМЕНДАЦИИ

по курсу **«Экономическая политика КПСС»** к проведению занятий по теме **«Аграрная политика КПСС на современном этапе».**

**Цель занятия по данной теме** — раскрыть основные положения аграрной политики КПСС на современном этапе.

### ПРИМЕРНЫЙ ПЛАН ЗАНЯТИЯ:

1. Содержание и цель аграрной политики в социалистическом обществе.
2. Продовольственная программа СССР и пути претворения ее в жизнь.
3. Деятельность органов внутренних дел в связи с реализацией Продовольственной программы.

### ПЛАН СЕМИНАРСКОГО ЗАНЯТИЯ:

1. Отражение аграрной политики КПСС в решениях съездов партии и Пленумов ЦК КПСС.
2. Содержание Продовольственной программы СССР на период до 1990 года.
3. Основные направления повышения эффективности сельскохозяйственного производства в свете решений октябрьского (1984 года) Пленума ЦК КПСС.
4. Роль и место органов внутренних дел в обеспечении условий для эффективного функционирования агропромышленного комплекса.

**Для индивидуального собеседования рекомендуются следующие вопросы:**

1. Пути совершенствования хозяйственного механизма управления экономикой колхозов и совхозов.
2. Структура агропромышленного комплекса.РАПО — основное звено агропромышленного комплекса.
3. Деятельность органов внутренних дел по предотвращению потерь сельскохозяйственной продукции.

**НОВОЕ В ЗАКОНОДАТЕЛЬСТВЕ**

# УКАЗ ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР

## «ОБ АДМИНИСТРАТИВНОЙ ОТВЕТСТВЕННОСТИ ЗА НАРУШЕНИЕ ПРАВИЛ ПРИОБРЕТЕНИЯ, ХРАНЕНИЯ ОГНЕСТРЕЛЬНОГО ОРУЖИЯ И БОЕВЫХ ПРИПАСОВ».

В целях усиления борьбы с нарушениями правил приобретения, хранения и использования огнестрельного оружия и боевых припасов и в соответствии с Основами законодательства Союза ССР и союзных республик об административных правонарушениях Президиум Верховного Совета СССР постановляет:

1. Установить, что приобретение, хранение, передача другим лицам или продажа гражданами огнестрельного гладкоствольного охотничьего оружия без разрешения органов внутренних дел влекут штраф в размере от десяти до тридцати рублей с конфискацией оружия или без таковой.

Те же действия, совершенные лицом, которое в течение года было подвергнуто административному взысканию за одно из нарушений, предусмотренных частью первой настоящей статьи, влекут штраф в размере от двадцати до пятидесяти рублей с конфискацией оружия.

2. Нарушение правил хранения или перевозки огнестрельного гладкоствольного охотничьего и нарезного оружия и боевых припасов гражданами, имеющими разрешение органов внутренних дел на хранение оружия, влечет предупреждение или штраф в размере от пяти до двадцати рублей или возмездное изъятие оружия и боевых припасов.

Те же действия, совершенные лицом, которое в течение года было подвергнуто административному взысканию за одно из нарушений, предусмотренных частью первой настоящей статьи, влекут штраф в размере от десяти до тридцати рублей с конфискацией оружия и боевых припасов или без таковой.

3. Нарушение установленных сроков регистрации (перерегистрации) гражданами огнестрельного оружия или правил постановки его на учет в органах внутренних дел при изменении места жительства влечет предупреждение или штраф в размере от пяти до двадцати рублей.

4. Стрельба из огнестрельного оружия в населенных пунктах и в не отведенных для этого местах, а также в отведенных местах с нарушением установленного порядка влечет штраф в размере от двадцати до пятидесяти рублей с конфискацией оружия и боевых припасов или без таковой.

5. Уклонение от реализации огнестрельного гладкоствольного охотничьего оружия и боевых припасов гражданами, у которых органами внутренних дел аннулировано разрешение на их хранение в связи с выбытием из охотничьих обществ, влечет штраф в размере от пяти до двадцати рублей с возмездным изъятием оружия и боевых припасов.

6. Продажа работниками торговых предприятий (организаций) огнестрельного гладкоствольного охотничьего оружия и боевых припасов к нему гражданам, предприятиям, учреждениям, не имеющим разрешения органов внутренних дел, влечет штраф в размере от десяти до пятидесяти рублей.

Те же действия, совершенные лицом, которое в течение года было подвергнуто административному взысканию за указанное нарушение, влекут штраф в размере от тридцати до ста рублей.

7. Нарушение правил хранения или перевозки огнестрельного оружия и боевых припасов работниками предприятий, учреждений и организаций, ответственными за их сохранность, а равно использование ими огнестрельного оружия и боевых припасов не по назначению влекут штраф в размере от десяти до пятидесяти рублей.

Те же действия, совершенные лицом, которое в течение года было подвергнуто административному взысканию за одно из нарушений, предусмотренных частью первой настоящей статьи, влекут штраф в размере от тридцати до ста рублей.

8. Лица в возрасте от шестнадцати до восемнадцати лет за нарушение правил приобретения, хранения и использования огнестрельного оружия и боевых припасов подлежат административной ответственности на общих основаниях.

Дела в отношении указанных лиц с учетом личности нарушителя и характера совершенного правонарушения могут быть переданы на рассмотрение в районную (городскую), районную в городе комиссию по делам несовершеннолетних.

9. Протокол о нарушениях правил приобретения, хранения и использования огнестрельного оружия и боевых припасов, предусмотренных настоящим Указом, составляется работником милиции.

10. При совершении нарушений, предусмотренных статьями 1—5 настоящего Указа, работник милиции вправе изъять огнестрельное оружие, а также боевые припасы до рассмотрения дела, о чем делается запись в протоколе с указанием марки или модели, калибра, серии и номера изымаемого оружия, количества и вида боевых припасов. При отказе добровольно предъявить огнестрельное оружие и боевые припасы работник милиции вправе произвести личный досмотр и досмотр вещей нарушителя.

К лицу, совершившему правонарушение при исполнении служебных обязанностей, работник милиции вправе применять свои права, предусмотренные частью первой настоящей статьи лишь в случаях, не терпящих отлагательства.

Изъятие огнестрельного оружия и боевых припасов, личный досмотр и досмотр вещей нарушителя производятся в порядке, определяемом законодательством Союза ССР и союзных республик.

1. Дела о нарушениях, предусмотренных настоящим Указом, рассматриваются административными комиссиями при исполнительных комитетах районных, городских, районных в городах, поселковых, сельских Советов народных депутатов или исполнительными комитетами поселковых, сельских Советов народных депутатов по месту совершения нарушения в пятнадцатидневный срок с момента поступления дела.

12. Постановление административной комиссии при исполнительном комитете районного, городского, районного в городе, поселкового, сельского Совета народных депутатов, предусматривающее конфискацию либо возмездное изъятие огнестрельного оружия и боевых припасов, исполняется органами внутренних дел.

13. Настоящий Указ вступил в силу с 1 января 1985 года.

საბრძოლო გუშაგი
БОЕВОЙ СТРАЖ

23 марта 1985 г.

გვესაუბრებიან გამოჩენილი ადამიანები

# საერთო საქმე

კანონი საზოგადოების ცხოველმოქმედების მტკიცე გარანტია გახლავთ. კანონის თანმიმდევრული დაცვა და მისი პრინციპების ცხოვრებაში განმტკიცება ქმნის გულდაჯერებულობისა და სიმშვიდის ატმოსფეროს, სადაც მშრომელი ადამიანის საქმიანობას მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია საზოგადოებისათვის, და, მაშასადამე, თვით მისთვისაც. ამიტომაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გეგმაზომიერ და მიზანსწრაფულ მუშაობას ეწევა მართლწესრიგის ორგანოების სტილისა და საქმიანობის მეთოდების სრულყოფისათვის. პირადად მე მგონია, რომ მას უზარმაზარი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან მართლწესრიგის ორგანოების მუშაობის სტილის გაუმჯობესება, უფრო მნიშვნელოვანი შედეგები ამ მიმართებით, საბოლოოდ, მარტოოდენ ვიწრო უწყებრივ მიზნებს კი არ ემსახურება, არამედ აგრეთვე სოციალისტური საზოგადოების ზნეობრივი ნორმების სრულყოფას, ზნეობრიობისა და სულიერი ცხოვრების მაღალი პრინციპების განმტკიცებას. ამგვარად მართლწესრიგის ორგანოების მუშაობის შედეგები უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება საერთოდ მთელი საზოგადოებისათვის. ამიტომ ამ მეტად მნიშვნელოვანი ფრონტის ის მუშაკები, რომლებიც პასუხისმგებლობის შეგნებით, პროფესიულად და მთელი ძალისხმევით ეკიდებიან თავიანთ სამუშაოს, უდიდეს მადლიერებას და პატივისცემას იმსახურებენ.

ჩემი პროფესიით მე შორს ვარ მართლწესრიგის ორგანოების ყოველდღიური მუშაობისაგან და ამიტომ ჩემს აზრს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული კომპეტენტურობისა და ესოდენ რთული საქმის ნიუანსების ცოდნის პრეტენზია, — უბრალოდ მინდა გამოვთქვა ჩემი ზოგიერთი მოსაზრება.

ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება ჩვენს საზოგადოებაში თითქოს და ორ შემადგენელ ნაწილს მოიცავს:

პირველი — საზოგადოებრივ-საორგანიზაციო დრო — ესაა მუშაობა ან სწავლა;

მეორე — თავისუფალი ან, როგორც აგრეთვე უწოდებენ, პირადი დრო.

თუ პირველი კონტროლდება სასწავლო, საწარმოო, სამსახურებრივი დისციპლინით (ყოველ შემთხვევაში, უნდა კონტროლდებოდეს), დროის, ნაწილის დახარჯვა ადამიანს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია, კარგია, როდესაც იგი ამ დროს სასიკეთო საქმეებს, თავისთვის, ოჯახისათვის და საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეებს ახმარს; უარესია, როდესაც დრო უაზროდ მიდის, და მთლად ცუდია, როდესაც დრო ანტისაზოგადოებრივ, კანონსაწინააღმდეგო საქმეებზე იხარჯება. ბოლოს, გამოდის, რომ ადამიანის, განსაკუთრებით კი ყმაწვილი კაცის თავისუფალი დროის პრობლემა საზოგადოებრივი პრობლემაა.

ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე წერს: „ყოველი ახალი თაობა მუდამ უფრო ინფორმირებულია, უფრო განვითარებული, ვიდრე წინა. ეს არის ჩვენი დიდი სიკეთე, კაცობრიობა უფრო ჭკვიანი, უფრო სრულყოფილი ხდება, და უბრალოდ დანაშაულია, არ აღიარო ეს ჭეშმარიტება. პირიქით, საზოგადოებრივი განვითარების ეს დიალექტიკური კანონზომიერება მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ახალგაზრდობასთან ურთიერთობაში".

ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია — ღრმად დავფიქრდეთ დანაშაულობათა ფაქტებზე. პირადად მე განსაკუთრებით მაძრწუნებს, ის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში არიან ადამიანები, არც კი ვიცი, რა ვუწოდო მათ; რომლებიც ხელს უწყობენ ნარკომანიის გავრცელებას".

ვახტანგ VI კანონთა კრებულში იუწყებოდა, რომ მოღალატე ყოველგვარ სასჯელს იმსახურებს. ისინი, ვინც ადამიანის საწინააღმდეგოდ, მთელი ჩვენი საზოგადოების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, დაუყოვნებლივ უნდა ჩამოვაცალოთ საზოგადოებას, მე ახლა მხოლოდ ჩემი აღშფოთების გამოხატვა შემიძლია, კანონმდებლობამ კი უნდა გაითვალისწინოს ყველაზე ულმობელი სასჯელი მათთვის, ვისაც შეუძლია თავისი ხალხის მომავლის ღალატი.

ვფიქრობ, კანონზომიერია ვილაპარაკოთ დღეს საზოგადოების ისეთ მახინჯ მანკიერებაზე, როგორიცაა მეშჩანობა, საიდანაც წარმოიშვება მეტწილად უფრო ბოროტი სოციალური ანომალიები. მეშჩანობა არც ისეთი უწყინარი რამაა, როგორც შეიძლება გვეჩვენოს ერთი შეხედვით. თავისი არასულიერობით იგი ნიადაგს უქმნის ისეთ მანკიერებას, როგორიცაა მომხვეჭელობა, ნივთომანია, ნარკომანია, და ადამიანებს დანაშაულისკენ უბიძგებს. ჩეხოვი ამბობდა, რომ ადამიანში მშვენიერი უნდა იყოს ყველაფერი — სულიც, ფიქრებიც, გრძნობებიც, სახეც, ტანსაცმელიც.

რა თქმა უნდა, ადამიანი კარგად უნდა იცვამდეს, კარგად მოწყობილ ბინაში უნდა ცხოვრობდეს, ბიბლიოთეკა ჰქონდეს, მაგრამ, გამოვტყდეთ, განა ცოტაა მაგალითი იმისა, რომ წიგნებით გამოტენილ სახლში მკითხველი არ არის, და განა ცოტაა ისეთი სახლები, სადაც ნივთებით გატაცება თვითმიზანი ხდება და ბინა ანტიკვარულ დუქნად იქცევა?

„როდესაც მარტოოდენ მატერიალურ სიკეთისათვის ვმუშაობთ, ჩვენ თვითონვე ვიგებთ სატუსაღოს და ვიკეტებით სიმარტოვეში, და მთელი ჩვენი სიმდიდრე — არარაობა და ფერფლია, იგი უძლურია მოგვანიჭოს ის, რისთვისაც ღირს სიცოცხლე", — ეს გახლავთ შესანიშნავი მწერლის სენტ-ეკზიუპერის სიტყვები. მეშჩანობა კიდევ იმიტომ არის საშიში, რომ ვლინდება ისეთი თითქოს და უწყინარი ფორმით, როგორიცაა ჩვენი შვილების კაპრიზების წახალისება. განა ჩვენი და თქვენი შვილები არ არიან, მოსწავლის ფორმის უბრალოებასა და სისადავეს რომ უგულებელყოფენ და გამოპრანჭულები დადიან სკოლაში,, — იქ ხომ, ისევე როგორც ცხოვრებაში, უნდა გამოირჩეოდე ცოდნით და არა ქონებით.

მეშჩანობის გარეგნულად მიმზიდველი ატრიბუტები ზოგჯერ აბრმავებენ სულით სუსტ ადამიანებს და დანაშაულისაკენ უბიძგებენ მათ. როგორ ვებრძოლოთ ამ ბოროტებას?

რა დავუპირისპიროთ მას?-

ვფიქრობ, პირადი მაგალითი. ყველა ჩვენთაგანის მოვალეობაა მომთხოვნი ვიყოთ საკუთარი თავისადმი რათა მაგალითად ვიქცეთ ახალგაზრდობისათვის, ვინაიდან, როგორც ამხანაგი შევარდნაძე წერს, „პარტიულთა რიგების სიწმინდე და კომუნისტის პირადი მაგალითი — განუყოფელი ცნებებია".

მართლწესრიგისა და კანონიერების დამცველი ადამიანები ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებულ კატეგორიას წარმოადგენენ. ეს ის ხალხია, ვინც კანონს განასახიერებს, ვისთანაც ეძებენ სიმართლეს, მფარველობას, კანონიერებას, ვისაც, მესანგრის მსგავსად, არა აქვს შეცდომის უფლება, რადგან მათი შეცდომა უკანონობისა და უსამართლობის გამოვლინებად გადაიქცეოდა. რამდენადაც ამ ადამიანთა ადგილი საზოგადოებაში და მათი სამუშაო ასე რიგად მნიშვნელოვანია, ამან ასახვა უნდა ჰპოვოს ხელოვნებაშიც.

ჯერ კიდევ დოსტოევსკი იყენებდა თავისი დროის სასამართლო ქრონიკებს და ჰქმნიდა უკვდავ ნაწარმოებს, ღრმა კვალი რომ დააჩნიეს კაცობრიობის სულიერ მემკვიდრეობას.

საბჭოთა ხელოვნებას, კერძოდ კინოსაც, არაერთგზის აუსახავს მართლწესრიგის ორგანოების საქმიანობა.

პრობლემა ზნეობისა, პრობლემა სიკეთისა და ბოროტებისა, კაცთმოყვარეობისა და გულქვაობისა, სულიერობისა და მეშჩანობისა, და საბჭოთა კანონის სადარაჯოზე მდგარი ადამიანების ვაჟკაცური ბრძოლა დანაშაულობასთან იყო და იქნება მარადიული თემა ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისათვის.

ელდარ შენგელაია.

К 40-ЛЕТИЮ ПОБЕДЫ

## ВСТРЕЧА ОДНОПОЛЧАН

На днях по инициативе Дома культуры им. Ф. Э. Дзержинского МВД ГССР и музея МВД Грузинской ССР состоялась встреча сотрудников министерства с воинами 41-го полка пограничных и внутренних войск НКВД.

Встречу открыл секретарь партийного комитета МВД ГССР Э. Самхарадзе.

В своем выступлении бывший политрук 2-й роты 41-го полка, ныне кандидат исторических наук, доцент И. Квеквескири говорил о тех замечательных людях, которые в годы войны, создавая боевую историю полка,

На встрече выступили майор в отставке, бывший командир батальона 41-го полка Г. Багдасаров, капитан в отставке, бывший командир артбатареи 41-го полка И. Чарашвили, подполковник в отставке, бывший командир 3-го батальона 41-го полка С. Ястребцев.

Они вспомнили фронтовые эпизоды, друзей, с которыми делили горечь поражений и радость побед.

По приказу министра внутренних дел республики ветераны 41-го полка награждены ценными подарками.

В заключение встречи был продемонстрирован фильм.

Т. СЕРЕБРЯКОВА.

## КОМЕНДАТУРА ДЕЙСТВУЕТ

**Комендатурой МВД ГССР совместно с редакцией газеты «Боевой страж» был проведен рейд по выявлению сотрудников органов внутренних дел республики, нарушающих правила ношения форменной одежды.**

**Во время рейда выявлены: сотрудник Гардабанского РОВД лейтенант милиции А. Махмудов, следователь Тетрицкаройского РОВД капитан милиции А. Тварадзе, инспектор ОБХСС Адигенского РОВД А. Майсурадзе, сотрудники отдела милиции по охране гособъектов и учреждений УВД г. Тбилиси сержанты милиции А. Алиев и М. Бахрамов. А капитан в/с Д. Цулая, рядовой милиции из Казбегского РОВД О. Годердзишвили, сотрудник Тианетского РОВД З. Цимакуридзе досрочно присвоили себе звания.**

**Интересно, что думают по этому поводу руководители тех органов и подразделений внутренних дел республики, где работают нарушители.**

РЕЙДОВАЯ БРИГАДА.

ВОЗВРАЩАЯСЬ К НАПЕЧАТАННОМУ

## ЕЩЕ РАЗ О СТЕНГАЗЕТЕ...

Основные функции и назначение стенной печати — это отражение жизни и трудовых достижений коллектива. Являясь органом партийной и комсомольской организации, она обязана своевременно отражать злободневные проблемы и задачи, стоящие перед сотрудниками органов внутренних дел.

Руководством к действию для всех стенгазетчиков должны стать слова В. И. Ленина: «Еще более и еще более конкретности в изучении местного опыта, деталей, мелочей, практики, делового опыта, углубления в настоящую жизнь... не бояться вскрывать ошибки и неумелость, популяризировать и рекламировать изо всех сил всякого сколько-нибудь выдающегося местного работника, «ставить его в пример».

Однако некоторые руководители органов и подразделений внутренних дел республики, их заместители по политической части, секретари первичных партийных и комсомольских организаций недооценивают важность и значение своего органа в деле дальнейшего укрепления политико - морального состояния личного состава, повышения его ответственности и инициативности, дисциплины, высоких профессиональных и нравственных качеств сотрудников органов внутренних дел, первичных партийных и комсомольских организаций, каждого сотрудника, всех тех, кто стоит на страже правопорядка. И нельзя стенгазету делать оторванной от повседневной жизни коллектива, ибо лицо газеты — это прежде всего люди со своими заботами и проблемами.

В этом нас еще раз убедил рейд, проведенный редакцией газеты «Боевой страж» в райотделах внутренних дел г. Тбилиси.

В Первомайском РОВД г. Тбилиси выходит стенгазета «Мебрдзоли гушаги» (редактор—старший лейтенант милиции С. Маргвелашвили). Газету, правда, мы видели, но никак не смогли понять дату ее выхода: выпускалась она в этом году, в прошлом, или...

В Сабурталинском РОВД г. Тбилиси выходила стенгазета «Мебрдзоли гушаги» (редактор — лейтенант милиции Ш. Рухадзе). Мы не случайно написали слово «выходила» в прошедшем времени, так как за три месяца нынешнего года здесь умудрились не выпустить ни одного номера. Создается впечатление, что они вообще забыли о ее существовании. Правда, у них есть на это «причина» — недавно переехали в новое здание. Согласитесь, это не снимает с них ответственности за выход стенгазеты.

Добросовестное отношение к делу, понимание роли и значения стенной печати мы наблюдали в Калининском РОВД г. Тбилиси (редактор — лейтенант милиции Н. Хуцишвили) и в Кировском РОВД г. Тбилиси (редактор — капитан милиции Д. Моцонелидзе). Здесь газеты выходят регулярно, опубликованные материалы читаются с интересом. Но нужно больше давать материалов из жизни отдела, о делах и заботах стражей правопорядка.

Редакция газеты ждет ответа от руководителей органов и подразделений внутренних дел, секретарей первичных партийных и комсомольских организаций указанных райотделов о том, как собираются исправить сложившееся положение.

И. СЛОЯН.

## შეხვედრა პოეტთან

ამ დღეებში რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიმართა შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს თანამშრომელთა შეხვედრა პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანთან.

შეხვედრა გახსნა სამმართველოს უფროსის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში, შ/ს პოლკოვნიკმა ბ. კარტოზიამ. ჯ. ჩარკვიანის შემოქმედებაზე ისაუბრეს კრიტიკოსმა გ. გვერდწითელმა და პოეტმა გ. გეგეჭკორმა. გამომსვლელებმა აღნიშნეს ჯ. ჩარკვიანის მრავალფეროვანი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობა, რომელმაც მას საერთო სახალხო სიყვარული და პატივისცემა მოუპოვა. იგი ჩვენს ქვეყანაში მომხდარ მოვლენათა შუაგულში ტრიალებს და მაღალმხატვრული პოეზიით ეხმაურება მათ. დამსწრეებმა გულთბილად მიულოცეს პოეტს რუსთაველის პრემიის მინიჭება.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა ჯ. ჩარკვიანი. მან პასუხი გასცა დამსწრეთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს, წაიკითხა ლექსები. პოეტმა მადლობა გადაუხადა სამმართველოს თანამშრომლებს გულთბილი შეხვედრისათვის და აღნიშნა, რომ რუსთაველის პრემიის მინიჭება მას კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს როგორც შემოქმედებით, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

შეხვედრას ესწრებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული კომიტეტის მდივანი ე. სამხარაძე.

ბ. თათეიშვილი.

## დინამოელ მესტენდურთა წარმატება

ამ დღეებში ჩატარდა რესპუბლიკის თასის გათამაშება სასტენდო სროლაში. სტარტზე 61 სპორტსმენი გამოვიდა.

მრგვალ სტენდზე სროლაში წარმატებით იასპარეზეს დინამოელებმა. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა თ. იმნაიშვილმა და გ. შენგელიამ თანაბარი ქულები დააგროვეს. დამატებითი ცდებისას თ. იმნაიშვილს უფრო მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა და პირველობაც მან მოიპოვა; მესამე ადგილზეც დინამოელი დ. ქვათაძე გავიდა.

სულ ერთი წელიწადია, რაც სპორტსაზოგადოება „დინამოში" გაიხსნა სასტენდო სროლის ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ზ. მაჩხანელი. დროის ამ მცირე მონაკვეთში დინამოელებმა პირველ დიდ წარმატებას მიაღწიეს — საქართველოს თასი მოიპოვეს, მეორე ადგილი დაიკავა მონკავშირის გუნდმა, მესამე ადგილზე გავიდნენ ქუთაისელი მესტენდურები.

ბ. იმერლიშვილი.

## გულშემატკივარი



სპორტის დიდი გულშემატკივარია ო. ხერკელაძე. განსაკუთრებით იგი თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს ქომაგობს. სწორედ ასეთ თავდადებულ გულშემატკივრებს უმართლებს ჩვენ სტადიონზე „ერთგულების ლატარიის" გათამაშებაში. ომარსაც გაუმართლდა — „ჟიგული 2106" მოიგო.

1980 წელს, სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებულმა კასპელმა ჭაბუკმა ომარ ხერკელაძემ შინაგან საქმეთა ორგანოებში დაიწყო მუშაობა. დისციპლინიანმა და თავმდაბალმა ახალგაზრდამ მალე დაიმსახურა თანამშრომელთა სიყვარული და პატივისცემა. დღეს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის სერჟანტი ერთ-ერთი დანაყოფის კომკავშირის მდივანია.

მიღებული აქვს ოთხი მადლობა.

ტ. ტარიელაშვილის ტექსტი და ფოტო.


18 სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართი: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. Наш адрес: 380025. ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 08517